შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№1 (9.566)

18 იანვარი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ახალი წელი ვარსკვლავებთან ერთად

პირველად დედოფლისწყაროს ისტორიაში, ადგილობრივებს ახალი წელი საზოგადოებისთვის ცნობილმა მომღერლებმა ცოცხლად მიულოცეს. 30 დეკემბრის ღამეს ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, გრანდიოზული კონცერტი გაიმართა. თიკა ჯამბურია, ლაშა ღლონტი, დიტო ლაგვილავა, ბექა ბროლაძე და ნინი წიკლაური საზოგადოებისთვის ცნობილი სიმღერების შესრულებით ცდილობდნენ დედოფლისწყაროელების გამხიარულებას და პუბლიკის აყოლიებას.

კონცერტი ღია ცის ქვეშ გაიმართა და მას მუსიკალური წამყვანი „ვინი“ უძღვებოდა. გამორჩეულად ცივი ამინდის მიუხედავად, ცნობილი მომღერლები მსმენელისთვის საუკეთესო განწყობის შექმნაზე თავდაუზოგავად ზრუნავდნენ. თითოეულმა მათგანმა მაყურებლისთვის კარგად ცნობილი რამდენიმე სიმღერა შეასრულა. კონცერტის მსვლელობისას თოვა დაიწყო, რამაც ფერადი განათებებით გაფორმებულ სცენას თავისებური ხიბლი შემატა. განსაკუთრებული ოვაციები სწორედ თიკა ჯამბურიას სცენაზე გამოჩენას მოჰყვა. წამყვანმა კი კონცერტზე შეკრებილ დედოფლისწყაროელებს სატელევიზიო კონკურს „ახალ ხმაში“ ჯამბურიას მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

თიკა ჯამბურია: დედოფლისწყაროში პირველად ვარ და ძალიან მომეწონა. გეფიცებით, ხალხმა ისე თბილად მიმიღო, რომ ძალიან ბედნიერი ვარ... რომ ჩამოვედი, მეფერებოდნენ, ჩემთან ფოტოებს იღებდნენ და მართლა ძალიან ბედნიერი ვარ. საუკეთესო პუბლიკაა, ძალიან კარგად ამყვნენ და გაერთნენ. რეპერტუარი წინასაახალწლო განწყობის მიხედვით შევარჩიე.

– თიკა, ტელეკომპანია „იმედის“ პროექტ „ახალი ხმის“ მონაწილეც ხარ, შოუ დასასრულს უახლოვდება და როგორ გამონახე დრო, რომ დედოფლისწყაროს სწვეოდი?

– მართალია, „ახალ ხმაში“ ვმონაწილეობ, მაგრამ ისე დაემთხვა, რომ ამ კვირაში არც რეპეტიციები მქონდა, არც გამოსვლა და ამიტომ გადავწყვიტე, რომ დედოფლისწყაროს ვწვეოდი და ახალი წელი ქიზიყელებისთვის პირადად მიმეღოცა.

– დედოფლისწყარო ერთადერთია, თუ სხვა რაიონებშიც მოასწრებ ჩასვლას წინასაახალწლოდ?

– დედოფლისწყარო მართლაც ერთადერთია. მხოლოდ აქ ჩამოსვლა გადავწყვიტე და 31-ში ღამეს ქალაქ ბორჯომში. თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ორ ქალაქს შედარებით გაუმართლა. მეც ვუერთები ჩემს მეგობრებს და ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცავ შობა-ახალ წელს. ყოველივე საუკეთესოს მომტანი ყოფილიყოს 2013 წელი დედოფლისწყაროსთვის და მთელი საქართველოსთვის“.

ვინი (კონცერტის წამყვანი): „ბავშვობაში დედოფლისწყაროში ნამყოფი ვარ, თუმცა ღონისძიებების ამპლუაში აქ პირველად ჩამოვედი. ძალიან ვემზადებოდით ამ დღისთვის. გვინდოდა, რომ განსაკუთრებული კონცერტი გვქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცივა, ჩვენი სურვილი იყო ადგილობრივი მაცხოვრებლები გამთბარიყვნენ იმ სითბოთი და სიყვარულით, რომელიც ჩვენ თბილისიდან ჩამოვიტანეთ... ჩვენ მართლა არ გვინდა ისე ჩაითვალოს, თითქოს დედაქალაქი საქართველოს სხვა კუთხეებს მოწყვეტილია და გვინდა მთელი საქართველო ერთიანი იყოს, მითუმეტეს, საახალწლო დღეებში და სწორედ ამის დასტურია ის, რომ დედოფლისწყაროში ვართ და თქვენთვის ვმღერით. ასე რომ, ახალ წელს გილოცავთ დედოფლისწყაროელებო და წარმატებების და წინსვლის წელი დაგბედებოდეთ.

(გაგრძელება გვ. 4)

"იმედი" VS "შირაქი"

2012 წლის 30 დეკემბერს რაიონის კულტურის სახლის მიერ გამართულ საახალწლო კონცერტში მხოლოდ ანსამბლმა „შირაქმა“ მიიღო მონაწილეობა, ღონიძიებაზე ანამბლ „იმედს“ მონაწილეობა არ მიულია, რასაც საზოგადოებაში უამრავი კითხვა მოჰყვა. მაინც რა მოხდა ამ დღეს? ამის გარკვევას გაზეთი „შირაქი“ შეეცადა.

28 დეკემბერს მოქმედი ანსამბლ „იმედის“ აღსაზრდელების მშობლებმა ანსამბლის ხელმძღვანელთან ხვიჩა ზუბიაშვილთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მიზეზი საახალწლო კარნავალის ანსამბლ „იმედის“ გარეშე შესაძლო ჩატარება გახლდათ. მშობლებს აინტერესებდათ, -„რატომ იქმნებოდა წლების მანძილზე ანსამბლ „იმედის“ მიმართ ხელოვნური ბარიერები რაიონული მასშტაბის კონცერტებზე გამოსვლისას და რამ განაპირობა, რომ ამჯერადაც გრძელდება აღნიშნული გაურკვევლობა?! ასამბლის ხელმძღვანელის პასუხი ამ კითხვაზე გახლდათ, რომ მისი ანსამბლი პოლიტიკური ნიშნით დაისაჯა და მიიჩნევდა, რომ ისინი ხელმღვანელობის პირადი დამოკიდებულების გამო იდევნებოდნენ.

- „რამდენადაც მშობლები ინფორმირებულები ვართ, ანსამბლი „შირაქი“ საახალწლო ზეიმზე, რომელიც 30 დეკემბერს კულტურის სახლის დარბაზში გაიმართება, სამ ცეკვას გამოიტანს, ხოლო ანსამბლი „იმედი“ რატომღაც თამაშგარეთ დარჩა, ჩვენი გულისწყრომა სწორედ ამან გამოიწვია. ჩვენ გვაინტერესებს, რა შუაშია აქ პოლიტიკა და რატომ შეიძინა ამ ყველაფერმა პოლიტიკური ელფერი მაშინ, როდესაც ხელოვნება და შემოქმედებითი საქმიანობა სრულიად აპოლიტიკური სფეროა. მთელი წლის მანძილზე ჩვენი შვილები ცეკვაზე იმიტომ დადიან, რომ საბოლოო შედეგი მშობლებს გვაჩვენონ, ამჯერადაც ველოდებოდით მათ ცეკვას, მაგრამ პროგრამაში არ არიან ჩასმულნი, გაგვარკვიოს ვინმემ, როგორ ავუხსნათ ბავშვებს ის, რომ ისინი ვერ იცეკვებენ ამჯერად?! - აცხადებდნენ ანსამბლ „იმედის“მშობლები. ამ საკითხის ირგვლივ გაგრძელდა საუბარი მუნიციპალიტეტის გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან, როდესაც კრებიდან ანსამბლ „იმედის“ მშობლებმა გამგებლის კაბინეტში მასთან შეხვედრის მიზნით გადაინაცვლეს. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი თამარ თამაზაშვილი და გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი. მშობლებთან საუბრის შემდეგ ირაკლი შიოლაშვილმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ მისი მუშაობის პრინციპი სწორედ სამართლიანობის აღდგენას ემსახურება და რომ რაიონში მოქმედი ყველა შემოქმედებითი ჯგუფი თუ ანსამბლი თანაბარ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული. - ***„ეს საკითხი ჩემთვის უკვე კარგადაა ცნობილი და ვფლობ ინფორმაციას, თუმცა, ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღიდან, როდესაც საქმე შეეხო ამ ანსამბლების დამოკიდებულებას,***

(გაგრძელება გვ. 6)

საჩუქრები სათნოების სახლის ბინადართ და გმირების ოჯახებს

გვ.3

დედოფლისწყაროში მოძღვარი დაჯრეს



გვ.2

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტიდან მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტიდან მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა.

პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ აღნიშნული კანონი 88 მომხრით 1-ის წინააღმდეგ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან მთავრობის დაქვემდებარებაში გადადის, მის ხელმძღვანელს კი, პრეზიდენტის ნაცვლად თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. ასევე, პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური ჩამოყალიბდება, რომელიც უშუალოდ ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს დაექვემდებარება და მისი და მისი ოჯახის წევრების დაცვას უზრუნველყოფს.

გურამ ოდიშარია: „ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია ბევრად უკეთესად შეიძლებოდა, თუმცა ეს შანსი სამუდამოდ გავუშვით ხელიდან“

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას განცხადებით, ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია ბევრად უკეთესად შეიძლებოდა, თუმცა საქართველომ ეს შანსი სამუდამოდ გაუშვა ხელიდან.

ამის შესახებ ოდიშარიამ დღეს სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

“რა თქმა უნდა, ბაგრატის არ არის ის, რაც იყო და არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჯობდა ყოფილიყო ისეთი, ვიდრე რესტავრაციამდე იყო. პირადად მე გული მწყდება ერთ რამეზე, რომ მისი რესტავრაცია ბევრად უკეთ შეიძლებოდა, აუჩქარებლად და ის იქნებოდა სამაგალითოდ აღდგენილი ძეგლი, მაგრამ ჩვენ ეს შანსი სამუდამოდ გავუშვით ხელიდან”, - განაცხადა ოდიშარიამ.

ალილო დედოფლისწყაროში

7 იანვარს საშობაო ალილო დედოფლისწყაროში ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან დაიწყო. ქრისტეშობის მახარებლებს წინ ტაძრის წინამძღოლი დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე მიუძღოდა.ალილოში მონაწილეობას სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები იღებდნენ.სტიქარში გამოწყობილ მახარებლებს შემოწირულობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, სახანძრო-სამაშველო სამსახურმა და შსს დედოფლისწყაროს რაიონულმა განყოფილებამ გადასცა.

ალილოს მონაწილეები ძღვენს გზადაგზა მათ შესაგებებლად გამოსული მოსახლეობიდან და მაღაზიების მეპატრონეებისგან იღებდნენ.შობის მახარებლები ხალხს მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს საშობაო სიმღერით ახარებდნენ,ყველა შემომწირველს კი ნაკურთხ ღვინოს აჭაშნიკებინებდნენ.ათი წლის სახედარმა ჯენეტმა საშობაო ალილოში მონაწილეობა წელს მეორედ მიიღო.სწორედ ჯენეტს მოუწია შეგროვილი ნუგბარის ტარება.მსვლელობას დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე მელქისედეკიც (ხაჩიძე) შეუერთდა. შეგროვილი შემოწირულობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლს გადაეცა.

ალილოს ტრადიცია საქართველოში მეხუთე საუკუნიდან იღებს სათავეს.კომუნისტურ ეპოქაში დაკარგული ტრადიცია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით 2001წელს აღდგა.დედოფლისწყაროს ქუჩებში შობის მახარებლები წელს მეხუთედ გამოჩნდნენ.აღსანიშნავია,რომ საშობაო ალილო მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში მოეწყო.

კახეთის სტიქიით დაზარალებული 28 500 ოჯახისთვის კომპენსაციის სახით 95 მილიონი ლარი გაიცემა

დღეს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში კახეთის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის შემსწავლელი კომისიის სხდომა შედგა.

აღნიშნული კომისია საქართველოს მთავრობის დავალებით შეიქმნა და მას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი ხელმძღვანელობს. კომისია 3 თვეა მუშაობს და შეისწავლის კახეთის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს.

შეგახსენებთ, რომ დაზარალებული მოსახლეობისათვის გასაწევი დახმარებების ნუსხაში პირველი რიგის პრიორიტეტი ზამთრის პერიოდში მოსახლეობის ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა იყო. შესაბამისად, უკვე დასრულდა დაზიანებული სახლების გადახურვა და არსებული სახურავების შეკეთება. სხდომაზე სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შედეგების შესახებ იმსჯელეს. როგორც სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე თენგიზ შერგელაშვილმა აღნიშნა, გადაიხურა 100 და შეკეთდა 350 სახლის სახურავი. სხდომაზე ასევე, განხილულ იქნა სტიქიის შედეგად განადგურებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების კომპენსაციების მექანიზმი და გასაცემი თანხების ოდენობა. მინისტრის პირველი მოადგილის თენგიზ შერგელაშვილის თქმით, კომპენსაციებს 28500 დაზარალებული ოჯახი მიიღებს. თითოეული ოჯახისათვის გასაცემი თანხის ოდენობა ინდივიდუალურია და ზარალის ოდენობას შეესაბამება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების კომპენსაციის მიზნით გასაცემი თანხის რაოდენობამ 95 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება დაზიანებული სახურავების შეკეთებას, აღნიშნული მიზნით დახარჯული თანხა დაახლოებით 5 მლნ ლარია. აღნიშნულ თანხების გაცემას ფონდი "ქართუ" უზრუნველყოფს. კომპენსაციების გაცემა მიმდინარე წლის 21 იანვრიდან დაიწყება.

დედოფლისწყაროში მოძღვარი დაჭრეს

16 იანვარს საღამოს ინციდენტი მოხდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში. სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის მოძღვარს მამა გაბრიელ ბენიაიძეს სხეულის სხვადასხვა არეში მძიმე დაზიანებები მიაყენეს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მოძღვარი ქუჩაში მოჩხუბარი მამაკაცების გაშველებას ცდილობდა, რა დროსაც მას დანით ჭრილობები მიაყენეს. სოფელში საუბრობენ, რომ შეკამათება რელიგიურ საკითხებზე მსჯელობას მოჰყვა.

თვითმხილველების განმარტებით, სასულიერო პირი მისივე თანაკლასელმა დაჭრა რომელიც, ადგილობრივების მტკიცებით, ციხიდან ახალი გამოსულია.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფი მამა გაბრიელი კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ დედოფლისწყაროს სტაციონარიდან თბილისში, ჟვანიას სახელობის კლინიკაში გადაიყვანა.

მედიკოსების განმარტებით, პაციენტის მდგომარეობა მძიმე იყო. მას რამდენიმე საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა. პროცესი 9 საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

„ახლა რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება და ვითარება შედარებით სტაბილურია და გონზე მოვიდა,“ — აღნიშნავენ ოჯახის ახლობლები.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

მამა გაბრიელ ბენიაიძე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის ყოფილი მოადგილის, ნიკო ბენიაიძის ძმაა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა მამა გაბრიელ ბენიაიძის სხეულის განზრახ დაზიანების ფაქტზე სოფელ არხილოსკალოს მკვიდრი, 49 წლის გიორგი დავითური ცხელ კვალზე დააკავეს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ეჭვმიტანილი დაკავების მომენტში ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ის სიღნაღის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

მამა გაბრიელ ბენიაიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ სტაბილურად მძიმეა. ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს პაციენტის მკურნალმა ექიმმა ჯუმბერ ფარცახაშვილმა ოპერაციიდან ორი დღის შემდეგ მიაწოდა.

მისი თქმით, დაჭრილი მამაკაცი კლინიკაში 16 იანვარს ღამის საათებში შემოიყვანეს და მას სასწრაფო წესით ორი ოპერაცია ჩაუტარდა.

“პაციენტს ბასრი საგნის გამოყენების შედეგად დაზიანებული ჰქონდა საძილე არტერია, საუღლე ვენა, მარცხენა მხარი. პაციენტი ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო შემოყვანილი, რომ ოპერაციას ორი სამუშაო ბრიგადა უკეთებდა”, - განაცხადა ჯემალ ფარცახაშვილმა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ სააგენტო “ივერონიდან” აცნობეს, ამჟამად პაციენტი მკურნალობას შპს “ტრავმატოლოგის” ინტენსიურ თერაპიაში გადის და ექიმების დაკვირვების ქვეშ იმყოფება. „სავარაუდოდ პალატაში მას სამ დღეში გადავიყვანთ”, - აცხადებს ჯემალ ფარცახაშვილი.

ცნობისათვის, სამედიცინო ცენტრი შპს “კომბინატი”-ს შენობა იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს უკანა ეზოშია განთავსებული და ჟვანიას სახელობის ბავშვთა კლინიკის მომიჯნავეს მდებარეობს.

მკითხველის ფოსტა

ახალი ხელისუფლების იმედი ნამდვილად მაქვს

თქვენს გაზეთში წავიკითხე ქალბატონ ლალი მეხრიშვილის სტატია „გაყიდული ქართული მიწა“. კმაყუფილი ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო იმ საკითხზე საუბარი, რაზეც მე (ალბათ სხვებიც) დიდი ხანია შეწუხებული და გაკვირვებული ვარ. რატომ ჰყიდის ჩვენი ხელისუფლება ქართულ მიწა-წყალს უცხოელებზე?! საქართველოს მთელი ისტორია ხომ ომია იმისათვის, რომ ჩვენი მიწა-წყალი უცხო ტომელებს არ მიეტაცებინათ, დღეს კი იმ მიწას, რომელსაც ჩვენი წინააპრები სისხლით იცავდნენ, ჩვენ თვითონ ვყიდით უცხოტომელებზე. მაშ რატომ ამოწყვიტეს მე-17 საუკუნეში ბიძინა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით აჯანყებულმა კახელებმა კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები, თუკი მათ ნაცვლად დღეს ჩვენ თვითონ ჩავისახლებთ ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაზე ჩინელებს, ინდოელებს, არაბებს და სხვებს. ქართველ კაცს ვერ გავამართლებ გაჭირვების გამო მიწას უცხოელზე რომ ჰყიდის. ეს უცხოტომელები ჩვენს მიწა-წყალზე ისე გამრავლდებიან, რომ ჩვენს შთამომავლობას აქედან აჰყრიან. მაგალითად უნდა გვეყოს სამაჩაბლო და აფხაზეთი.

მე მინდა გულისტკივილი გამოვთქვა ერთ საკითხზეც, რომელზეც აქამდე არავინ საუბრობს, თუმცა, შეიძლება, ეს საკითხი სხვასაც აწუხებს. საკოლმეურნეო წყობის დაშლის შემდეგ შევარდნაძის მთავრობამ ხალხს „სიკეთე“ უყო და ქალაქ დედოფლისწყაროს შემოგარენში თვითოეულ ოჯახს 0,25 ჰა სახნავი მიწა დაურიგა. ეს ჯამში საკმაოდ დიდი ფართობია. სახლიდან 5-10 კილომეტრში დაშორებულ ამ ნაკვეთს ბარითა და თოხით ვერ დაამუშავებ. არც ისეთი პირობებია, რომ იქ ბოსტნეული მოიწიო და იმით ისარგებლო. უნდა დათესო საშემოდგომო კულტურა, სიმინდი ან მზესუმზირა. ამ საქმეს კი ტექნიკა სჭირდება. მიუხედავად მისი დაქირავების სიძვირისა, მცირე ნაკვეთის მესაკუთრისთვის ესეც ძნელია-ტექნიკის პატრონს არ აწყობს პატარა ნაკვეთში მუშაობა, ეს მისთვის წამგებიანია. ამიტომ მიწის ეს ნაკვეთები დაუმუშავებელი რჩება. ამით კარგად სარგებლობენ ახლო-მახლო მდებარე ფერმების (ძირითადად აზერბაიჯანელები) მესაქონლეები. ფაქტობრივად ეს ნაკვეთები მათთვის მუქთი საძოვარია. შიგა და შიგ თუ ვინმე ხნავს და თესავს, ისიც პრობლემას აწყდება: პირუტყვი, რომელიც გაშვებული ჰყავთ მოუხნავ ნაკვეთებში გადადის დათესილ ნაკვეთი. რა ქნას ამ 0, 25 ჰა მიწის პატრონმა? დაჯდეს მინდორში და უყარაულოს თავის წვალებით მოხნულ- დათესილ ნაკვეთს თუ მასზე ხელი აიღოს?!

ამას ემატება კიდევ სხვა პრობლემაც. მთაში მიმავალი და იქიდან მომავალი პირუტყვისთვის წინათ საქონლის გადასარეკი ტრასა არსებობდა. მხოლოდ ამ ტრასაზე ხდებოდა პირუტყვის გადაადგილება. ახლა კი რა ხდება? მთაში მიმავალ და იქიდან მომავალ პირუტყვს მათი პატრონები ტბისა და ქოჩების გარშემო ათიოდე დღით „ასვენებენ“, იწყობენ დროებით ბინებს. საძოვარი- გიყვარდეს აქ არის აი ის 0,25 ჰა მიწის ნაკვეთები- ჯამში ათეულობით ჰექტარია. ზოგი ნაკვეთი თუ დაუმუშავებელია, ზოგი დათესილია, ცხვრისთვის სულ ერთია - მათია.

თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, ახალი ხელისუფლების მიერ გამოყოფილი მილიარდიანი ინვესტიცია ჩვენ (პატარა ნაკვეთების პატრონებს) ვერ გვიშველის. ბევრი იძულებული გახდება მიწა გაყიდოს.

სახელმწიფომ უნდა აკრძალოს მიწის გაყიდვა უცხოელებზე, ამავე დროს უნდა აკრძალოს და ჯარიმა დააწესოს პირუტყვის სახნავ მიწებზე და ქარსაფარ ზოლებში ძოვებაზე. ქართული მიწა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა კუთვნილება უნდა იყოს.

მე–17 საუკუნეში წმინდა ბიძინა ჩოლოყაშვილმა შეუნარჩუნა კახეთი კახელებს. ახლა იმედი გვაქვს ისევ ბიძინასი- ივანიშვილისა!

სერგო ყარაგვეზაშვილი
ქ. დედოფლისწყარო

საჩუქრები სათნოების სახლის ბინადართ და გმირების ოჯახებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ახალი წელი „დედოფლისწყაროს სათნოების სახლის" ბინადრებს მიულოცეს. ირაკლი შიოლაშვილმა და ლევან ნატროშვილმა მოხუცებს საახალწლო ტკბილეული პირადად გადასცეს.

ფოტომასალას გამგეობის პრესსამსახური ავრცელებს.

„ეს არ არის დახმარება. ეს მხოლოდ მილოცვაა. ვეცდებით თქვენი პირობები კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. უფალმა ინებოს და საქართველოში ისეთი პირობები შეიქმნას, რომ თითოეული თქვენთაგანის ოჯახი ეკონომიურად გაძლიერდეს და სათნოების სახლში კვება აღარ დაგჭირდეთ. მანამდე კი ჩვენი ყურადღება და სითბო არ მოგაკლდებათ"– ამ სიტყვებით მასპინძლებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა მიმართა.

მოხუცები ხელმძღვანელი პირების სტუმრობამ ძალიან გაახარა, მათ სტუმრებს მადლობა გადაუხადეს და მათთვის საინტერესო შეკითხვებიც დაუსვეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილმა ახალი წელი 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახებსაც მიულოცეს.

ზემო ქედელი გოჩა ილურიძისა და სამრეკლოელი გიორგი აბიათარის დედებს საახალწლო საჩუქრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა პირადად გადასცეს.

ირაკლი შიოლაშვილმა გმირი ვაჟკაცების მშობლებს შვილების პატრიოტებად გაზრდისათვის მადლობა გადაუხადა და დაპირდა, რომ დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლება მათი შვილების გმირობას არასდროს დაივიწყებს და ამ ოჯახებს მზრუნველობას არ მოაკლებს.

საკადრო ცვლილებები

„მალე დაიწყება სკოლებში მონიტორინგი, რაც აამაღლებს სწავლების ხარისხს"

მინი დოსიე:

მიხეილ ბახუტაშვილი დაიბადა 1968 წლის 3 მაისს წითელწყაროში, 1985 წელს დამთავრა ქალაქ წითელწყაროს №1 საშუალო სკოლა, 1992 წელს - წარჩინებით დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი ინგლისური და ესპანური ენების სპეციალობით, თერთმეტი წლის მანძილზე მუშაობდა მშობლიურ, №1 საჯარო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად, პარალელურად, 8 წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს განათლების განყოფილებაში, 2003 წლიდან რამდენიმე უცხოურ ფირმაში მუშაობდა თარჯიმნისა და მენეჯერის თანამდებობებზე, 2006-2007 წლებში ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სააგენტოში მთარგმნელის პოზიციაზე, 2010-2012 წლებში სააღმზრდელო ცენტრის უფროსი სპეციალისტია, 2013 წლის 3 იანვრიდან კი-საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დედოფლისწყაროს საგამნანათლებლო რესურსცენტრის ახალ ხელმძღვანელს უკვე გაცნობიერებული და ჩამოყალიბებული აქვს ის საკითხები, რომელთა მოგვარებაზეც უნდა იზრუნოს. „ ჩემი მუშაობის უპირველესი ამოცანა იქნება საზოგადოების თვალში რესურსცენტრის ფუნქციის ამაღლება, რადგან ის წლების განმავლობაში დისკრედიტირებული იყო. არ ვაყენებ არავის შეურაცხყოფას, უბრალოდ სიმართლეა ასეთი. მალე მოხდება ორგანიზაციის სტრუქტურული რეორგანიზაცია და ფუნქციების გაზრდა. გასაკეთებელი საქმეები გამოსწორდება, უახლოეს მომავალში იგეგმება საგანმანათლებლო კომპიუტერული პროგრამების წვდომის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო რესურსცენტრი მალე დაიწყებს სკოლებში მონიტორინგის განხორციელებას, რაც აამაღლებს მოსწავლეების სწავლების ხარისხს."

მიხეილ ბახუტაშვილისთვის სკოლა და მოსწავლეები უცხო ხილი ნამდვილად არ გახლავთ, ის წლების განმავლობაში იყო მოსწავლეების ერთ-ერთი საყვარელი მასწავლებელი, მან კარგად იცის სკოლაში არსებული პრობლემები და ისიც, თუ რა აწუხებთ ბავშვებსა და პედაგოგებს. საოცრად გახსნილ ადამიანს კოლეგებთან ურთიერთობაც საკმაოდ კარგად გამოსდის, ის თვლის, რომ მუშაობის გუნდური პრინციპი აუცილებელია და მის გარეშე ნებისმიერი სამუშაოს შესრულება წარმოუდგენელია. „ჩემი მუშაობა იქნება გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი"-აცხადებს „შირაქთან" საუბარში მიხეილ ბახუტაშვილი.

ინგა შიოლაშვილი

გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

სამახურის უფროსად. ჰყავს მეუღლე ვასილ აბულაშვილი და ქალიშვილი- ანა აბულაშვილი.

უკვე ერთ თვეზე მეტია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, თამარ თამაზაშვილი. ის 1959 წლის 6 ივნისს დაიბადა, სწავლობდა დედოფლისწყაროს პირველ საშუალო სკოლაში, დაამთავრა სიღნაღის სამუსიკო სასწავლებელი, მოგვიანებით კი თბილისის ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების აკადემია საფორტეპიანო სპეციალობით, 1978 წლიდან მუშაობს დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს პედაგოგად. 2006 წელს დაინიშნა ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილედ (სასწავლო დარგში), სადაც მუშაობდა 2012 წლამდე.2012 წელს ხელოვნების სკოლაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად მისი შტატი პოლიტიკური ნიშნით შეამცირეს და პედაგოგიური მოღვაწეობის უფლებაც კი წაართვეს. 2012 წლის დეკემბრიდან თამარ თამაზაშვილი დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა

დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები მორიგეობის განრიგის დარეგულირებას ითხოვენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოლიციის რაიონულ განყოფილებაში ცვლილებები მას შემდეგ განხორცელდა, რაც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დემურ კეკენაძემ ეს თანამდებობა დატოვა , მის ადგილას მისივე მოადგილე გია თეთრაშვილი მოიაზრებოდა, მაგრამ იგი ამავე სამსახურის თბილისის დეპარტამენტში გადავიდა სამუშაოდ. ამჟამად მეთაურის პოსტს დავით ჯალიაშვილი იკავებს, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ამავე სამსახურში და საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობს საზღვრის დამცველთა რიგებში.-„დათო არის თავმდაბალი, თითოეული მესაზღვრის დამფასებელი და გვჯერა, თავში არაფერი აუვარდება"-აცხადებენ მესაზღვრეები. მეთაურის მოადგილეობისთვის იბრძოდა და წარდგინებაც გაიგზავნა მინისტრის სახელზე შიდა კადრიდან გოდერძი იორამიშვილის თაობაზე, რომელიც წლებია ამ სისტემაში მუშაობს, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და ამ პოსტზე დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტში მომუშავე ზურაბ ტუხაშვილი დაასაქმეს, რომელიც ასევე საუკეთესო განწყობით მიიღეს სამმართველოში, სამმართველოს უფროსის მეორე მოადგილედ კი ყოფილი პოლიციის თანამშრომელი სოსო ოზაშვილია წარდგენილი.

სასაზღვრო პოლიციის სამმართველოში საკადრო ცვლილებების განხორციელებასთან ერთად მესაზღვრეები კიდევ ერთ ცვლილებას ელოდებიან და იმედოვნებენ, რომ შშს ახალი მინისტრის და ახალი ხელმძღვანელობის შემწეობით მათთვის სასიკეთო ცვლილება განხორციელდება მორიგეობის განრიგის დარეგულირების თვალსაზრისით. უკვე ორი წელია, მესაზღვრეებს მკაცრ პირობებში უხდებათ მუშაობა. კერძოდ, მესაზღვრეები 2 კვირა საზღვარზე მორიგეობენ, ხოლო ერთი კვირა ისვენებენ. აღნიშნულ რეჟიმს უკვე კარგა ხანია აპროტესტებენ სასაზღვრო პოლიციაში და სურთ, ადრინდელის მსგავსად 10 დღიანი მორიგეობა დაწესდეს. მესაზღვრეებს შშს -ს ახალი მინისტრის იმედი აქვთ და იმედოვნებენ, რომ მათი პრეტენზიები ირაკლი ღარიბაშვილის მიერ იქნება გათვალისწინებული.

ლალი მეხრიშვილი

ახალი წელი ვარსკვლავებთან ერთად

(პირველი გვერდიდან)

დიტო ლაგვილავა („ვარსკვლავების აკადემიის“ გამარჯვებული): „წელს მესამედ ვარ დედოფლისწყაროში, სიმართლე გითხრათ, ყოველთვის მიხარია აქ ჩამოსვლა, რადგან ძალიან კარგი აუდიტორიაა. იციან მოსმენა, ტაშის დაკვრა და მომღერლის დაფასება. ვულოცავ ახალ წელს დედოფლისწყაროს, ვისურვებდი, რომ ყველაფერი, რაც ამ ქალაქს აკლია, ამ წელს შეემატოს“.

ბექა ბროლაძე: „მე პირველად ვარ დედოფლისწყაროში და მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ძალიან თბილი მაყურებელი დაგვხვდა. ხშირად არ ვართ განებივრებული ასეთი ემოციური კონცერტებით და აქტიური მაყურებლით. ძალიან კმაყოფილი ვარ და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კონცერტის ორგანიზატორებს. მინდა, რომ ხშირად იმართებოდეს ასეთი საღამოები და ხშირად გვქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ჩამოვიდეთ და მონატრებული მაყურებელი ჩვენი სიმღერით გავახაროთ. რა თქმა უნდა, მინდა ახალი წელი მივულოცო დედოფლისწყაროელებს. მინდა, რომ 2013 წელი მთლიანად საქართველოსთვის წინსვლის და ზეიმის წელი ყოფილიყოს.

ნინი წიკლაური („ჯეოსტარის“ მონაწილე): „პირველად ჩამოვედი დედოფლისწყაროში და ძალიან მახარებს ეს ფაქტი. ძალიან ცივა და მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისად არ ჩავიცვი, სიცივე მაინც არ მიგრძვნია, იმდენად თბილი აურა მოდიოდა მაყურებლისგან. ძალიან კარგი ხალხი დაგვხვდა აქ და ბედნიერი ვარ. მივულოცავ ყველას ახალ წელს, ყველაფერი საუკეთესო მინდა გისურვოთ.“

ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტს დედოფლისწყაროს გამგებელი, მისი მოადგილეები და საკრებულოს თავმჯდომარეც დაესწრნენ.

ირაკლი შიოლაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „პირველი ღია კონცერტია დედოფლისწყაროში ახალ წელს და მართლა მიხარია, რომ ამდენი ახალგაზრდაა გამოსული. ყველა ცეკვავს და ერთად აღნიშნავს ახალწელს. ხალხი ოჯახებით არის მოსული. მინდა ყველას მივულოცო და ზოგიერთი კრიტიკოსის გასაგონად ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ამხელა კონცერტი გავაკეთეთ და ამხელა განათებები დამონტაჟდა, მაინც ყველაზე იაფი დაჯდა ეს ახალი წელი დედოფლისწყაროელებისთვის. ხარჯთაღრიცხვასაც გეტყვით. სულ რაღაც 7000 ლარამდე დაჯდა ეს დღე ფოიერვერკის ჩათვლით. ძალიან მარტივი მათემატიკაა. ნებისმიერ დედოფლისწყაროელს შეუძლია გააკონტროლოს, რა ჯდებოდა გასულ წლებში დედოფლისწყაროში უბრალო ფოიერვერკი. ნახევარ ფასში კონცერტის ჩატარებაც კი მოვახერხეთ“.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მომღერლების ჩამოსაყვანად დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან 4 950 ლარი გამოიყო. საახალწლო კონცერტი გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა. ფეიერვერკის მოსაწყობად კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 000 ლარი დაიხარჯა.

დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან საახალწლო ღონისძიებებისთვის 2011 წელს 12 500 ლარი, ხოლო 2010 წელს 12 000 ლარი დაიხარჯა.

საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით ჩვენთან საუბარში დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ბახუტაშვილი წინა ხელისუფლების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას მძიმეს უწოდებს. მისი განმარტებით, კულტურისა და სპორტის ცენტრს ხელახლა მოუხდა ნაძვისხეებისა და გარე-განათებების შეძენა.

„ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვხვდა. ფაქტობრივად თავიდან შევიძინეთ გარეგანათებები და მთელი ქალაქი გავანათეთ. ისეთ ადგილებშიც დამონტაჟდა საახალწლო განათებები, სადაც აქამდე არ ყოფილა. ვიყიდეთ, ასევე, გარე ნაძვისხე და სცენისთვის შედარებით მცირე ნაძვისხე,“ — განუცხადა გაზეთ “შირაქს“ ნინო ბახუტაშვილმა.

კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ გასულ წლებთან შედარებით, ამჯერად საახალწლო ნუგბარი გაცილებით მეტმა პატარამ მიიღო.

კონცერტს კმაყოფილი ტოვებდა იქ შეკრებილი მოსახლეობაც. მაყურებელი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართავს, რომ ამგვარი ღონისძიებები დედოფლისწყაროში ხშირად გაიმართოს: „ყველაფერი მოგვეწონა, ყველა მომღერალმა კარგი სიმღერა შეასრულა. ხშირად უნდა იმართებოდეს ასეთი ღონისძიებები და არა მხოლოდ ახალწელს. ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება და ამჯერად კარგად გავერთეთ. ძალიან მივიწყებული მხარეა დედოფლისწყარო. არავის არ ახსენდება, ახალგაზრდებისთვის საინტერესოც არაფერი ხდება. ვისურვებდით, რომ ასეთი დღეები ხშირად იყოს, რომ აქ ცხოვრება ცოტა გამოცოცხლდეს,“ - აღნიშნავდნენ მაყურებლები.

საახალწლო ნაძვისხე დედოფლისწყაროს ცენტრში დამონტაჟდა. წინა წლებისგან განსხვავებით, ნაძვისხე ხელოვნურია და მხოლოდ ფერადი ნათურებით აწყობილი არ გახლავთ. იმის გამო, რომ გასულ წლებში ნაძვისხე ცენტრალურ მოედანზე მონტაჟდებოდა და ახლა იქ შადრევანია განთავსებული, ამჯერად ნაძვისხისთვის სხვა ადგილის გამონახვა გახდა საჭირო. ამისათვის კი ცენტრალურ მოედანზე ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია შეირჩა.

ილია მარტყოფლიშვილი



საახალწლო დღეების ბოლო აკორდი

წინასაახალწლო ზეიმები ბავშვთა გასართობ ცენტრ “ლაბირინთში”ჯერ კიდევ საჯარო სკოლებში არდადეგების დაწყებამდე დაიწყო. აქ ღონისძიებები მრავლად გამართეს დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა. არც საახალწლო დღეებში აკლდა სტუმრები ცენტრს, რომელიც რაიონში ერთადერთია და მისი პოპულარობა თანდათან რაიონის ფარგლებსაც კი სცდება.

- ერთ-ერთ სუფრაზე სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში ბავშვთა გასართობი ცენტრი ფუნქციონირებდა. გამიჩნდა სურვილი, ჩემი შვილისათვის დაბადების დღე აქ გადამეხადა. დავუკავშირდი ცენტრის ხელმძღვანელობას, შევთანხმდით ყველაფერზე და დათქმულ დღეს ჩემი შვილის მეგობრებთან და მათ მშობლებთან ერთად ვეწვიეთ დედოფლისყაროს. გულწრფელად გვინდა გითხრათ, რომ ეს 2-3 საათი დაუვიწყარი იქნება ჩვენი ბავშვებისათვის. ძალიან კმაყოფილები ვტოვებთ აქაურობას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს არ იქნება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ჩვენს ბავშვებს გაუჩნდათ დიდი სურვილი, მათაც გადაიხადონ დაბადების დღე ამ მშვენიერ გასართობ ცენტრში, რომელსაც ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ დაუვიწყარი წუთები აჩუქოს პატარებს. მადლობა ცენტრის ხელმძღვანელობას და მის ახალგაზრდა წამყვანებს - წერს შთაბეჭდილების წიგნში სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის მცხოვრები.

ბავშვთა გასართობი ცენტრი “ლაბირინთი”, მართლაც, იმსახურებს მადლიერების და ქების სიტყვებს. სულ რაღაც ერთ წელში მათმა მფლობელებმა მარინა ცხვედიაშვილმა და ბიძინა პაპაშვილმა დიდი შრომა ჩადეს, რომ სტატუსი გაემართლებინათ. დაამონტაჟეს მრავალი სახეობის ატრაქციონი, რომელიც ბავშვებისათვის არა მხოლოდ მიმზიდველია, არამედ მათ სულიერ და ფიზიკურ განვითარებასაც ემსახურება. პროგრამის წამყვანები დები ლოლაშვილები ხომ ამ ცენტრის სული და გული არიან. ცენტრი ყოველდღე მუშაობს და სტუმრები არ აკლია. ვისაც ჯერ კიდევ არ უნახავს ეს ცენტრი, ვეტყვით, რომ დიდი სიამოვნება დაუკარგავს. ყოველდღიური პროგრამით მუშაობასთან ერთად ცენტრმა არა ერთი საქველმოქმედო ღონისძიებაც გამართა. ესე იყო 15 იანვარსაც. ძველი ახალი წლის მეორე დღეს აქ საახალწლო ზეიმების ბოლო აკორდი ჩატარდა და იგი საქველმოქმედო იყო. აქ მოსულმა ორმოცამდე ბავშვმა სამი საათის განმავლობაში დაუვიწყარი დრო გაატარა. იყვნენ პაწიებიც და მოზრდილებიც. პროგრამა თითოეული მათგანის ჩართვას და გართობას ითვალისწინებდა. წამყვანებმა მარი და ანა ლოლაშვილებმა არ დაიშურეს ძალა და ენერგია მათ გასამხიარულებლად.

- ძალიან კმაყოფილები ვართ და მადლობას ვუხდით ცენტრის ხელმძღვანელობას ამ საქველმოქმედო ზეიმისთვის. სამი საათი გაგრძელდა ღონისძიება და ბავშვებს აქაურობის დატოვება მაინც არ უნდათ. კარგია, რომ ქალაქის ცენტრში გართობის და დასვენების ასეთი საშუალება არსებობს. აქ ცხოვრებისეული ყველა პრობლემა გავიწყდება და ბავშვებთან ერთად ბედნიერი ხარ - გვითხრა ლუკა და ბექა თეთვაძეების დედამ ქალბატონმა იზა ტოკლიკიშვილმა.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ცენტრს მადლიერი სტუმრები არ მოაკლდება. კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

ნაირა გორაშვილი

ვაშლოვანის ნაკრძალში ვიზიტორთა რიცხვი გაორმაგდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დამთვალიერებელთა რიცხვის ზრდა შეინიშნება. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ გარემოს დაცვის სამინისტროში განუცხადეს. ამ მხრივ გაცილებით წარმატებული გასული 2012 წელი აღმოჩნდა. ამას გარდა, გარემონტდა ინფრასტრუქტურის ნაწილი.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს აზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ანა ჯაფარიძემ გაზეთ „შირაქს“ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემებიც მიაწოდა. სტატისტიკური ცნობების თანახმად ირკვევა, რომ დედოფლისწყაროში ჩამოსული ვიზიტორთა რიცხვი გასულ წელს გაორმაგდა.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2012 წელს ვაშლოვანის ნაკრძალს 6 968 ვიზიტორი ესტუმრა.

თვალსაჩინოებისთვის, გასული წლების მონაცემებიც სახელდება: 2007 წელს ვანშლოვანის ეროვნულ პარკს მხოლოდ 632 ვიზიტორი ეწვია, 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი 2 244 ვიზიტორამდე გაიზარდა, ხოლო 2011 წელს 3 000-ზე მეტი ვიზიტორი.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში ასევე აღნიშნავენ, რომ სულ ახლახანს დასრულდა ნაკრძალის შენობების კოსმეტიკური სამუშაოები.

გასული წლის 31 დეკემბერს ვაშლოვანის ეროვნულ პარკსა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი დასრულდა. სააგენტოს ცნობით, რეაბილიტაციის ფარგლებში გარემონტდა ვაშლოვანის პარკის ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი, ხოლო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მოხდა ვიზიტორთა ცენტრის საზაფხულო ტერიტორიის რეაბილიტაცია.

გამოქვეყნდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფინანსური ანგარიშიც. საერთო ჯამში, ვაშლოვანის ნაკრძალში რეაბილიტაციის პროექტის ბიუჯეტმა 87 000 ლარი შეადგინა, ხოლო ბორჯომ-ხარაგაულის 138 200 ლარი. მთლიანობაში ორი ეროვნული პარკის რეაბილიტაციის თანხამ შეადგინა 225 000 ლარი. როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოში ჩვენთან საუბრისას განმარტავენ, მსგავსი ტიპის სარეაბილიტაციო პროექტები მომავალში გაცილებით უფრო აქტიურად გაგრძელდება.

ანა ჯაფარიძის განმარტებით, პროექტი დაფინანსდა კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

„ვაშლოვანის და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. 2012 წლის მონაცემებით ვაშლოვანს ესტუმრა 6 968 ვიზიტორი, ხოლო ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალს— 28 098 ვიზიტორი. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წლიდან ბორჯომ-ხარაგაულის და ვაშლოვანის ეროვნული პარკები ვიზიტორებს განახლებული ინფრასტრუქტურით დახვდება,“ - აღნიშნავს დაცული ტერიტორიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ანა ჯაფარიძე.

ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იყო საქართველოს როგორც წინა, ისე ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის. ინფრასტრუქტურის განვითარებაც სწორედ ტურისტების მოსაზიდად ხორციელდება.

გასულ თვეებში გაზეთი „შირაქი“ ეტაპობრივად წერდა იმის თაობაზე, თუ როგორ ვითარდებოდა ვაშლოვანის პარკში ინფრასტრუქტურა. ამ კუთხით ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა და ბევრიც მომავალშია დაგეგმილი.

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. ეს განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახლადდანიშნულმა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც 2012 წლის საქმიანობის შედეგები შეაჯამა და 2013 წლის გეგმებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ტურიზმის განვითარებამ დასაქმებას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ქვეყანაში მეტ შემოსავალს უნდა მისცეს ბიძგი.

„ტურიზმი მთავრობის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა დარჩეს და ბოლო უნდა მოეღოს მითქმა-მოთქმას, თითქოსდა მისი დაფინანსება შემცირდა“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ამასთან, 2013 წლის 7 საუკეთესო ტურისტული მიმართულებას შორის, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს დასაგემოვნებლად ტურისტები უნდა ჩავიდნენ, საქართველო, ესპანეთის შემდეგ მე-2 ადგილზე აღმოჩნდა. ამ მონაცემებს ახალი ამბების სააგენტოები აქვეყნებენ.

ესპანეთისა და საქართველოს შემდეგ შვიდეულში მოხვდენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა იაპონია, პერუ, უკრაინა, სიცილია და გვატემალა. ბლოგერი ელის პასკუალი ქართულ სამზარეულოს ახასიათებს, როგორც ერთ მთლიანობას, შერწყმულს ქართულ ფოლკლორთან, რომელიც გამოირჩევა თავისი არომატებითა და ტრადიციული დამზადების წესჩვეულებებით.

კულინარიული ტურიზმი დღეს-დღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი სფეროა. ამ მხრივ ტურისტების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თემთან და მედიასთან კომუნიკაციის სტრატეგია

მოსახლეობაში ხშირად გავრცელებულა ინფორმაცია, რომელიც რეალობას ნაკლებად შეესაბამება. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მოსახლეობასა და მტაცებლებს შორის დამოკიდებულებისას. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ სოფელში მგელმა 10 ცხვარი შეჭამა. ხოლო მას შემდეგ, რაც შესაბამისი ორგანიზაციები დაინტერესდნენ ამ ფაქტით, აღმოჩნდა, რომ მგლის მსხვერპლის რიცხვი მხოლოდ ერთი ცხვრით შემოიფარგლებოდა, დანარჩენი კი არათვითმხილველთა წარმოდგენის შედეგი გახლდათ.მთავარი კი ისაა, რომ ასეთი დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელება ხდება საზოგადოების ფართო წრეში და მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს. ერთი არასწორი ინფორმაცია კი იწვევს მეორე ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ასევე მოკლებულია რეალობას. სწორედ ამ თემაზე მსჯელობა და მოსახლეობის ფართო ფენებამდე დაზუსტებული ინფორმაციის მიტანა იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ წარმომადგენლების მედია-საშუალებებთან შეხვედრის მიზანი.

კომუნიკაცია მნიშვნელოვანი საშუალებაა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტისა და კონსერვაციის ხელშეწყობისთვის. ის ეხმარება ადგილობრივ თემს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, გაერკვნენ დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას კი აძლევს საშუალებას, გაითვალისწინოს თემის ინტერესები დაცულ ტერიტორიასთან მიმართებაში -განაცხადა დედოფლისწყაროს მედია-საშუალებებთან გამართულ შეხვედრაზე თემურ პოპიაშვილმა. მან ისაუბრა კომუნიკაციის სტრატეგიის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ სწორი კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია თემთან ურთიერთობის მოწესრიგების, ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტის დარეგულირების, სწორი ინფორმაციის გავრცელებისა და, ზოგადად, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით.

„საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტთან“ ერთად კომუნიკაციის სტრატეგიის უკეთ განხორციელების მიზნით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციაც ჩაერთო.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2009 წელს დაარსდა და რომლის მიზანია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების განვითარება და ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნება.

ინგა შიოლაშვილი

გაუდაბნოების საფრთხის ასაცილებლად

11 იანვარს არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესის“ ოფისში გაიმართა შეხვედრა ბუნების დაცვის საკითხებით დაინტერესებულ მოსწავლეებთან. ამირან კოდიაშვილმა, რომელიც დედოფლისწყაროში გაუდაბნოების საფრთხის შესახებ პროექტის ავტორი გახლავთ, პროექტის პრეზენტაცია მოახდინა. მან ისაუბრა იმ ფაქტორებზე, რომლებიც იწვევს კლიმატის ცვლილებას. „პრეისტორიული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დათბობა არის ბუნებრივი პროცესი, თუმცა მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, „სითბური ეფექტი“ იქმნება სწორედ ადამიანის ჩარევის შედეგად ბუნებაში. ფაქტია, რომ ის, რასაც ადამიანები აწარმოებენ, უარყოფითად აისახება ეკოსისტემაზე“-განაცხადა ამირან კოდიაშვილმა პრეზენტაციის დაწყებისას. მან ახალგაზრდებს დეტალურად გააცნო ის მიზეზები, რომლებიც დედოფლისწყაროს კლიმატის ცვლილებას იწვევს. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ პრეზენტაციის პროცესში და მათთვის საინტერესო კითხვებიც დასვეს. როგორც პროექტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ამ პროექტში ჩართული მოსწავლეებისთვის გაიმართება ექსკურსიები ვაშლოვანის ნაკრძალში, რათა მათ უფრო თვალნათლივ დაინახონ და შეიგრძნონ პირველქმნილი ბუნების მშვენიერება და გაისიგრძეგანონ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების მოფრთხილებას. „მომავალი თაობის სახით დიდი რესურსი შეიქმნება, თუ თქვენ ისწავლით ბუნების დაცვას და შემდეგ სხვებს გადასცემთ, ეს იმისი გარანტია იქნება, რომ დედოფლისწყაროს ეკოსისტემა გადარჩება და გაუდაბნოების საფრთხე აღარ დაემუქრება“.

პროექტს „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხარდაჭერით ახორციელებს.

ინგა შიოლაშვილი

საახალწლო ზღაპარი კულტურის სახლის სცენაზე

29 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის საკონცერტო დარბაზმა საახალწლო ზღაპარს უმასპინძლა.წარმოდგენაში ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ. მაყურებლის წინაშე სხვადასხვა ასაკის ბავშვები უფროსი თაობის მსახიობებთან ერთად წარსდგნენ.

გია ყაჭაშვილისა და ცარო მარტიაშვილის სცენარის მიხედვით დადგმულმა მხიარულმა სპექტაკლმა პატარების საახალწლო განწყობა კიდევ უფრო აამაღლა,უფროსები კი (მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელი პირები) დროებით უკან,ბავშვობაში დააბრუნა.

ბუხარში ნაპოვნი თოვლის პაპის დანაბარები–თუ არ მიპოვით,ახალი წელი არ დადგებაო–ზღაპრის პერსონაჟებს ნამდვილ თავსატეხად ექცათ. ზღაპრების გმირებმა: ნაცარქექიამ, მზიამ და პატარა უფლისწულმა თოვლის პაპის მოძებნა ყველაზე ლამაზ ქვეყანაში, საქართველოში,დაიწყეს. ყველა კუთხე შემოიარეს, ლიხს იქით და ლიხს აქეთ ,მთისა და ბარის საქართველოს კულტურითაც დატკბნენ, მაგრამ თოვლის პაპა ვერსად ნახეს.

„მოდი, ვარსკვლავებს ვთხოვოთ დახმარება,თორემ ახალი წელი ჩვენთან ყველაზე გვიან მოვა"– ურჩია საზღაპრეთელ სტუმრებს წამყვანმა.

მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ბარაქიან ქიზიყში მიმალული თოვლის პაპა დედოფლისწყაროს კულტურის სცენაზე მაინც დროულად გამოჩნდა... ეს კი იმას ნიშნავს,რომ დედოფლისწყაროსა და სრულიად საქართველოში ფეხბედნიერი ახალი წელი კვლავ შემოაბიჯებს.

"იმედი" VS "შირაქი"

(პირველი გვერდიდან)

მაშინვე განვაცხადე, რომ ჩემი მიზანი გახლდათ სწორედ ამ ორი შემოქმედებითი ჯგუფის თანაბარ პირობებში ჩაყენება. ამიერიდან წერტილი დაესმება მიკერძოებულობას და მე ვიქნები გარანტი იმის, რომ რამდენ ცეკვასაც იცეკვებს ანსამბლი „შირაქი", იმდენივე ნომერს გაიტანს ანსამბლი „იმედი", თუნდაც ეს ერთი და იგივე ცეკვის ნომრები იყოს. პირადად მე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ ორივე ანსამბლი იდგეს საახალწლო ზეიმზე!" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა მშობლებთან საუბარში.

იცეკვებდა თუ არა საახალწლო ზეიმზე „იმედი", ეს ჯერ კიდევ გამგებლის კაბინეტიდან გამოსვლითანავე გაურკვეველი გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, მშობლებმა ერთპიროვნულად კმაყოფილებმა დატოვეს გამგეობის ფოიე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ანსამბლის ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილი იქვე აცხადებდა, რომ ის ანსამბლს ასე მოკლე ხანში ვერ მოუყრიდა თავს, რადგან ბავშვები დათხოვილნი იყვნენ და აქედან გამომდინარე მისი ანსამბლი ვერ იცეკვებდა. სინამდვილეშიც ასე მოხდა, „იმედი" სცენის გარეშე შეხვდა ახალ წელს. ფაქტი, რომ დედოფლიწყაროში არსებული ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი უკვე კარგა ხანია ერთმანეთს ქიშპობს და ეს პროცესი არათუ ახლა, ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო, ჩვენი საზოგადოებისთვის კარგა ხანია ცნობილია.

კულტურის სახლის დირექტორი ქალბატონი ცარო მარტიაშვილი ამ ამბის ირგვლივ განმარტებას აკეთებს:

- საახალწლო ღონისძიება ჩემი საავტორო სცენარის - „ზამთრის ზღაპრის" მიხედვით ჩატარდა, მე კი სრული უფლება მქონდა ღონისძიებაში ის შემოქმედებითი ჯგუფები ჩამერთო, ვინც ჩემი, და არამარტო ჩემი აზრით, ბევრად უფრო პროდუქტიული იქნებოდა, გულწრფელად რომ გითხრათ, არ მინდოდა ჩემს მიერ გაკეთებულ ღონისძიებაში ისეთი ანსამბლი მომეწვია, რომელიც სამსახურს მუდმივად პრობლემებს გვიქმნიდა და კვლავაც გვიქმნის.

-რას გულისხმობთ პრობლემების შექმნაში?!

-როდესაც ვატარებდი ღონისძიებებს, მე ვსაზღვრავდი და ყოველგვარი მიკერძოებულობის გარეშე თემატურად ვალაგებდი, ვისგან რა ცეკვა მჭირდებოდა. ანსამბლი „შირაქი" ყოველთვის უთქმელად ასრულებდა ყველა ჩემს მიერ მიცემულ დავალებას, ხოლო „იმედი" მუდმივად გამოთქვამდა პრეტენზიებს და თვითონ აყენებდა მოთხოვნებს, თუ რა ცეკვის შესრულება სურდათ. ამის გამო ისეთ ამბავს ტეხდა, რომ გამგებლიდან და უშიშროებიდან დაწყებული ზარები ხორციელდებოდა ჩვენს სამსახურში, ამაზე ისეთი ომები მაქვს გადატანილი, რომ უბრალოდ შეუძლებელია ამის ენით აღწერა.

-„იმედის" ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მას უსამართლოდ მოექეცით და არასასურველი საუბარი შედგა.

-არავითარი არასასურველი საუბარი არ შემდგარა, უბრალოდ მიანიშნეს მას, რომ ის დრო დასრულდა, როცა მავანთა და მავანთა ზარებს ახორციელებინებდა ჩვენთან, ეს იყო და ეს.

-მშობლები აცხადებენ, რომ მათი შვილების ანსამბლი პოლიტიკური ნიშნის გამო იჩაგრება..

-არავითარი პოლიტიკური ნიშანი, უფრო მეტს გეტყვით, ამ ორ ანსამბლს შორის ურთიერთობა 2009 წლიდან დაიძაბა, როდესაც „ფიროსმანობაზე" თბილისიდან საპატიო სტუმრებს ველოდით და ორი ღონისძიება დაიგეგმა, ერთი აქ- კულტურის სახლის დარბაზში, ხოლო მეორე -ფიროსმანის მშობლიურ სოფელში, მაშინ ასე გადანაწილდა ანსამბლები -„შირაქს" აქ, ნიკალას ნახატების მიხედვით ყარაჩოხელების სურათი უნდა გაეცოცხლებინა სცენაზე, სადაც დეკორაციების სამზადისში ერთი კვირა გავლიეთ, ხოლო „იმედი" გავაგზავნეთ მირზაანში, სადაც ასევე დიდი ღონისძიება იმართებოდა და იქ უნდა ეცეკვა ამ ანსამბლს. აღმოჩნდა, რომ ამინდის გაუარესების გამო „იმედმა" მირზაანში ვერ იცეკვა და უკან მობრუნებისას, გზიდანვე მოითხოვეს ამ სცენაზე ეცეკვათ, ეს, რა თქმა უნდა, ჩემი შეურაცხყოფა იყო, რადგან, მაშინ მთელი ჩემი სცენარი და დეკორაცია უნდა მომეშალა, ამასთან, დროშიც ვიწვებოდით. იყო მუქარა,სატელეფონო ზარები, ჩხუბი, დავა. ამგვარი ინციდენტი არაერთხელ მომხდარა. იყო ტრანსპარანტებით სცენაზე ავარდნა და „იმედის" შეძახილები, იყო ისიც, რომ ხუთწუთიანი ცეკვის გამოტანის მაგიერ 15 წუთიანი ცეკვა გამოიტანა „იმედმა" და ერთ ცეკვაში ჩართეს ხორუმის, მთიულურის და აჭარულის ელემენტები. რა თქმა უნდა, ამდენწუთიანი ნომერი მაყურებლისთვის არასასიამოვნო და მიუღებელი იყო. მოკლედ, არაერთი ნერვიულობა გადავიტანეთ ამ ყველაფრის გამო, შეუძლებელია ამგვარ დისკომფორტში მშვიდად და აუღელვებლად იმუშაო, მეც კარგად გამიგეთ, უპრიანი იქნებოდა მშობლები აქ მოსულიყვნენ და სიტუაცია ადგილზე გაერკვიათ, ვიდრე გამგეობას რადგან ეს საქმე ჩვენს სამსახურს უფრო ეხება. რაც შეეხება პირად დამოკიდებულებას და მიკერძოებულობას, ამას ვერავინ დამწამებს, რადგან, არანაირი ახლობლობა არ გამაჩნია არც ერთ ანსამბლის ხელმძღვანელთან, ასე რომ, სრულიად ობიექტურად გადავწყვიტე, რომ დიახაც, ალექსანდრე გაბრიელაშვილის ანსამბლი ჩამერთო ამ ღონისძიებაში.

P.S. ვფიქრობ, დაუშვებელია ვინმეს პირადი განწყობისა და დამოკიდებულების გამო, რაიონში მოქმედი რომელიმე შემოქმედებითი ჯგუფი დაისაჯოს. იყოს ერთიც და იყოს მეორეც, მოსახლეობა თავად გააკეთებს შეფასებას, მშობელს უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება და თავად გადავწყვიტოს, ვისთან მიიყვანოს თავისი შვილი ცეკვაზე. ეს გახლავთ სწორედ კონკურენციის დაუწერელი კანონი. რაც მეტი ანსამბლი იქნება რაიონში და მეტი არჩევანის საშუალება გვექნება, მით უკეთესი ჩვენთვის, მაგრამ ეს იმას როდის ნიშნავს, რომ ერთი მეორის მუშაობას ხელს უშლიდეს. პირიქით, უნდა დასრულდეს ურთიერთქიშპობა და ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლები გავხდეთ და ამასთან, გაგებით მოვეკიდოთ ორგანიზატორების მოთხოვნას.

ლალი მეხრიშვილი

ნათლისღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!



თითქმის ოცი საუკუნის წინ, ისრაელში, მდინარე იორდანეს ნაპირთან უდიდესი მისტიკური საიდუმლო აღესრულა. უფალი ჩვენი იესო ქრისტე, თავის წინამორბედთან, იოანესთან მივიდა, რომელიც იუდეველებს მდინარე იორდანეში ნათელს სცემდა სინანულის ნათლისღებით (მას მხოლოდ განსაწმენდი მნიშვნელობა ჰქონდა და არა მაცხოვნებელი დატვირთვა).

უცოდველი იესო, ჭეშმარიტი ღმერთი, ხორცში მოსული, თავისი ქცევით გვეუბნება, რომ აუცილებელია ყველა მოკვდავმა გაიაროს ეს გზა და ნათელ იღოს. და კიდევ, იესო ქრისტემ მდინარე იორდანეში შესვლით აკურთხა წყლის სტიქია. თუ აქამდე წყალი მხოლოდ მატერიალურად განწმენდდა ადამიანს, იორდანეში უფლის შესვლით მას სულიერი განმწმენდის ძალაც მიენიჭა. ნათლისღება უფლისა მნიშვნელოვანი დღეა თვით ზეციური ანგელოზებისთვისაც კი, რადგან ქმნილების წინაშე ყოვლადწმინდა სამება ყველაზე ცხადად წარმოჩნდა, განცხადდა, რისთვისაც განცხადების დღესასწაულიც ეწოდება. ამ დღეს წყლიდან ამოსულ, ნათელღებულ მაცხოვარს სულიწმინდა მტრედის სახით დაადგა მხარზე, ხოლო ზეციდან მამა ღმერთის ხმა მოისმა: "ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ". დიახ! განცხადდა კაცთათვის ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო, უფალმა კი აკურთხა წყალი და ნათლისღების წმინდა საიდუმლოება დაგვიწესა. სამი წლის მერე, ზეცად ამაღლების წინ, მაცხოვარი ეტყვის თავის მოციქულებს და მათი სახით სამოციქულო ეკლესიას: "წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წართმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისა და წმინდისა სულისათა... რომელს ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს".

წმინდა ნათლისღებით ყოველ ადამიანს გაეღება ახალი აღთქმის ეკლესიის კარი. მხოლოდ ნათლობის შემდეგ გვეძლევა უფლება, მონაწილეობა მივიღოთ **სამოციქულო** ეკლესიებში აღსრულებულ საიდუმლოებებში.

ნათლისღების სასწაული. დიდი ძალა აქვს წმინდა **ნათლისღებას**, ამ დროს ჩვენში ახალი ადამი იბადება, სულიერად ვიშვებით. მონათლულზე სულიწმიდის მადლი გადმოდის.

324 წელს რომში მაქსიმიანეს ოცწლიან მეფობას აღნიშნავდნენ. ამ დღეს მრავალი გასართობი მიეძღვნა, მათ შორის **თეატრალური სანახაობაც**. სცენაზე ცნობილი კომედიანტი ჰენეზიც გამოდიოდა. იმპერატორისა და მაყურებელთა წინაშე მან ავადმყოფის როლი გაითამაშა და ყვიროდა: "ოჰ, მეგობრებო, მძიმედ ვარ, ნეტავ რითიმე **შემამსუბუქა**". "როგორ დაგეხმაროთ, ხომ არ გაგრანდოთ?" - ეკითხებოდნენ.

"სულელებო, გარანდვა კი არა, ქრისტიანად სიკვდილი მსურს, რათა ღმერთმა, ვითარცა მწირი, მიმიღოს". იხმეს მღვდლად და დიაკვნად გადაცმული კომედიანტები.

"სნეულმა" იესოს მადლის მიღება ითხოვა ცოდვათა მისატევებლად და სულიერად ასაღორძინებლად. მათ ჰენეზი "მონათლეს". "ჯარისკაცებმა" იგი იმპერატორთან "დასაკითხად" მიიყვანეს, ვითარცა ქრისტეს რჯულის აღმსარებელი. ჰენეზი არ დაელოდა მის შეკითხვებს და ხმამაღლა აღმოთქვა: "ისმინეთ ჩემი, იმპერატორო და ყოველნო მსახურნო მისნო. ყოველთვის ვცდილობდი, შემელანძღა ამ სარწმუნოების წმინდა საიდუმლოებები. მე უარვყავი ჩემი ქრისტიანი მშობლები და ნათესაობა, ისე შევიძულე მათი რწმენა, რომ თქვენი სიამოვნებისთვის სცენაზე სამასხარაოდ გადმოვიტანე. მაგრამ როცა ნათლისღების წყალი გარდამესხა და შეკითხვაზე, "გწამს თუ არა", - ვუპასუხე, რომ მწამს, დავინახე ციდან დაშვებული ხელი, ბრწყინვალე ანგელოზნი, რომელთაც გადაეშალათ წიგნი და ჩემს ცოდვებს კითხულობდნენ. შემდეგ ეს წიგნი ამოავლეს ნათლისღების წყალში და მისი ფურცლები თოვლივით განსპეტაკდა. ამიტომაც, იმპერატორო და აქ დამსწრენო, იწამეთ ჩემთან ერთად იესო ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი. იგია ის, ვინც გაგათავისუფლებთ ცოდვათაგან". გამწარებულმა იმპერატორმა ჰენეზის გაწკეპლა უბრძანა პრეფექტს: - აიძულე, ქრისტე უარყოსო. ჰენეზმა დაითმინა სატანჯველი. საბოლოოდ, ქრისტეს აღმსარებლობისთვის მას თავი წარკვეთეს.

1892 წელს, "ტომსკის ეპარქიის უწყებანი" წერდა: ერთი მოხუცი ალთაელი ცოლ-შვილზე ერთი წლით ადრე მოუნათლავთ მისიონერებს. ცოლ-შვილის ნათლობისას მისი ყურადღება მიიპყრო ეკლესიის გუმბათიდან დაშვებულმა უჩვეულო ნათლის სვეტმა, არადა მოღრუბლული დღე იყო. ნათლის სვეტიდან გამოდიოდა უამრავი ალი, გეგონებოდათ, სანთლები ლიცლიცებენო. ცეცხლის სვეტი ეშვებოდა ემბაზში, იფანტებოდა და აბრწყინებდა მას. ბერიკაცი ემბაზთან მივიდა ნათლის სვეტის შესახედად. სინათლე კი ერთ ადგილას შეიკრიბა ცეცხლოვანი კვერცხის სახით, ჩაეშვა ემბაზის ფსკერზე და გაქრა. ეს ამბავი მან მაშინვე მოუთხრო მისიონერებს. ეს ხილული დადასტურება იყო იმ მადლისა, რომელსაც იღებს და რომლითაც ბრწყინდება ახალნათელღებული.

დიდი აიაზმის წყალი. ნათლისღების დღესასწაულის მწუხრზე დედა ეკლესიამ დიდი აიაზმის წესით წყლის კურთხევა დააწესა. ამ წყლისადმი ქრისტიანებს განსაკუთრებული სასოება აქვთ, მას მთელი წლის განმავლობაში ინაწილებენ და ყოველ დილით, როცა უფლის სისხლსა და ხორცს არ ეზიარებიან, დიდი აიაზმის წყალს მოსვამენ, რათა სულიერად არ მოუძლურდნენ.

ძველი ქართველები ამბობდნენ, ნათლისღებას აღებული უბრალო წყალიც არ იხრწნებაო. მიაჩნდათ, რომ ამ დღეს ყოველი მდინარის, ნაკადულის თუ ხევის წყალს ისეთივე მადლი ეძლეოდა, იორდანეს რომ მიეცა მაცხოვრის ნათლისღებისას.

ზოგიერთ სოფელში ახლაც არის შემორჩენილი ერთი ძველი ჩვეულება: ნათლისღებას, უთენია, უმძრახად (ხმაგაუცემლად) სამჯერ აავსებენ სარწყულებს ხევსა თუ მდინარეში და იქვე დაღვრიან. ზოგი კი ამ წყალს ახლობლების საფლავს მოასხურებს - ამგვარად თითქოს თავიანთი მიცვალებულებსაც აზიარებენ ღვთის განცხადების სიხარულს.

რწმენით მიღებულ დიდი აიაზმის წყალს სამკურნალო ძალაც აქვს. ბოლშევიკების საკონცენტრაციო ბანაკგამოვლილი დეკანოზი ბენიამინი (+1984) ჰყვებოდა: "როცა მამა იოანე კრესტიანკინთან ერთად ციმბირის ბანაკებში ხეებს გვაჭრევინებდნენ, მამა იოანეს ლოცვით სასწაული ხდებოდა. ლამის ფსკერამდე გაყინულ მდინარეში ნათლისღებისას წყალი ჩუმად ვაკურთხეთ. ამ წყლითა და ლოცვით წარმატებით ვკურნავდით პატიმრებს. ერთხელ ბანაკის უფროსს ბავშვი ავად გაუხდა. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ. ვიღაცას უფროსისთვის ჩვენზე უთქვამს, - ბავშვთა ექიმები არიანო. სასოწარკვეთილმა კაცმა საშველად მიგვიხმო. ჩვენ მას ოთახიდან გასვლა ვთხოვეთ, პატარა შემოკლებული წესით მოვნათლეთ, ნაკურთხი წყალი შევასვით, ვილოცეთ და სასწაულიც მოხდა, მეორე დღეს სრულიად ჯანმრთელი ბავშვი ფეხზე დადგა".

მცირედ მორწმუნეობის ამბავსაც მოგიყვებით: ეს ამბავი ჩვენი დროის საქართველოში მოხდა. მესხეთში, ჭულევის მონასტრის მახლობლად ჩანჩქერი გადმოსჩქეფს. ამ წყალს აკურთხებენ ხოლმე ნათლისღებისას. იმ წელს თოვლმა და ყინვამ ვერ დააბრკოლა მორწმუნენი. ჩანჩქერში ყინული ამოტეხეს და მამა სტეფანემ (ახლა უკვე ეპისკოპოსი) დიდი აიაზმის წესით აღასრულა კურთხევა. ლოცვის შემდეგ ყველა შევიდა წყალში და განიბანა. ახალგაზრდა ცოლქმარს მომაკვდავი ორი თვის ბავშვი მიეყვანა. მშობლებმა ისიც ჩააყურყუმელავეს წყალში. ერთმა მრევლთაგანმა, ნათიამ, არ მოისურვა განბანა - არ გავცივდეო და შინ დაბრუნდა. მოხდა სასწაული - მომაკვდავი ბავშვი სრულიად გამოჯანმრთელდა. ნათიას კი იმ ღამეს მაღალი სიცხე მისცა და კარგა ხანს იავადმყოფა...

ვულოცავთ ჩვენს მკითხველს უფლის ნათლისღების დღესასწაულს 19 იანვარს და ვუსურვებთ, ღვთის საიდუმლოებები განცხადდეს მათ სულებში.

გამოსათხოვარი

სვეტლანა ხოროშიხი

13 იანვარს საბოლოო გზაზე გავაცილეთ ღირსეული წევრი ჩვენი დიდი ოჯახისა- სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პენსიონერი მასწავლებელი სვეტლანა ალექსანდრეს ასული ხოროშიხი.

მამა პედაგოგი ჰყავდა. სამივე ქალიშვილმაც ეს მადლიანი პროფესია აირჩია და ჩვენს სკოლაში მოღვაწეობდნენ.

სვეტლანა „ალექსანდროვნა" რუსულ ენა-ლიტერატურას ასწავლიდა. თაობები გამოზარდა ამ სათნო, კეთილმა, მშვიდმა ადამიანმა. მოსწავლეების ნამუშევრებს აგროვებდა. კედლებზე დღემდე ჰქონდა გამოფენილი.

დაბადებული იყო ფილოლოგად, შემოქმედად. მისი გაკვეთილები არ იყო მშრალი, ყალბი. სითბო და სიყვარული შეჰქონდა მოსწავლეებთან.

ენამოსწრებული და იუმორით სავსე იყო. ბოლი წლები სევდანარევი იუმორი ჰქონდა. წელიწადიც არ გასულა უმცროსი და გარდაეცვალა. დარდებს აგროვებდა. შესაშური მეგობრობა იცოდა. ჰოდა, მეგობრებმაც ღირსეულად გააცილეს. შვილთაშვილს მოესწრო- სიხარულმა გაუთბო და გაუნათა დაღლილი გული. გაიხარჯა, გაცივდა ბავშვების სიყვარულში.

მიცვალებულზე მხოლოდ კარგს ამბობენ. მასზე სიცოცხლეშიც იგივეს ვამბობდით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი სვეტას სული.

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

მეუღლე გივი ალადაშვილი, შვილები:ნინო, ნიკა ალადაშვილები, და თამარ თარაშვილი, დისშვილები:ლაშა, ლევან ლაპიაშვილები, სიძე შოთა ლაპიაშვილი, მული ჟუჟუნა ალადაშვილი, მულისქმარი შიო, მულისშვილები ლალი და მიხო უშარიძეები იუწყებიან

ლალი თარაშვილ-ალადაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 5 იანვარს სოფელ არბოშიკში.

ნაირა და გულნარა გორაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ თამარ თარაშვილს დის

ლალი თარაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის 2010 წლის 12-ა კლასის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნათელა ნათელაძე თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი პაპუაშვილს დედის

თამარ ფხოველიშვილის

გარდაცვალების გამო.

ვანო, ეთერი, ინგა და ირმა შიოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ შოთა ლაპიაშვილს და თამარ თარაშვილს

ლალი თარაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები: ელგუჯა ცოგოშვილი, ნუგზარ ლაპიაშვილი, მევლუდ გიგოლაშვილი, ომარ ქისტაური,რობერტ ლეკაშვილი, ლადო მოსულიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ შოთა და ლია ნათელაშვილებს ძმის

სოსო ნათელაშვილის

გარდაცვალების გამო.

სპორტსმენებმა გასული წელი შეაჯამეს

უშუს ეროვნული ფედერაციის დედოფლისწყაროს კლუბი „არმია“ გასული წლის შედეგებს აჯამებს. ამისათვის სპეციალურად შემაჯამებელი ვიდეორგოლიც მომზადდა. გასული წლის მოვლენების ამსახველი ვიდეოკლიპი შეგიძლიათ იხილოთ ქიზიყი.ge-ს ვებგვერდზე.

2012 წელი უშუს ეროვნული ფედერაციის დედოფლისწყაროს კლუბ „არმია“-სთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა, 2012 წლის დასაწყისში კლუბს ჰყავდა პირველი კახეთის ჩემპიონები კიკ-ბოქსინგში და სანდაში. შემდეგ იყო თბილისის და ევრაზიის თასის გათამაშება სანდაში, სადაც ასევე წარმატებით იასპარეზა გუნდმა.

უკვე 2012 წლის ზაფხულში გუნდის სპორტსმენების ფიზიკური და ტექნიკური დონე საქართველოში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებდა მსაჯთა შეფასებით. 2012 წელს შავი ზღვის გუნდური თასი უკვე დედოფლისწყაროს კლუბის მფლობელობაშია.

შემდეგ რესპუბლიკურ ტურნირზე კლუბი იკავებს გუნდურ მეორე ადგილს და კლუბის სამი სპორტსმენი ნიკა ჩიტიშვილი, ლევან წიკლაური და ლევან თეთრაული დასახელდნენ წლის 15 საუკეთესო სპორტსმენს შორის

ამის შემდეგ კლუბის სპორტსმენი ნიკა ჩიტიშვილი ბედს ცდის შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში (ბრძოლა წესების გარეშე), სადაც უმოკლეს დროში მახრჩობელა ილეთით ამარცხებს სოფელ ზემო მაჩხაანელ საკმაოდ გამოცდილ სპორტსმენს.

2012 წელს კლუბის ორი სპორტსმენი მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატზე უშუ სანდაში, საიდანაც ერთი ჩემპიონი, ხოლო ერთიც მესამე ადგილზე გადის.

კლუბი ასევე წარმატებით მონაწილეობს საქართველოს თასის გათამაშებაზე სანდაში.

2012 წელს კლუბი ატარებს და ორგანიზატორი იყო პირველი შეჯიბრების დედოფლისწყაროში, სადაც ლაგოდეხის და აზერბაიჯანის გაერთიანებულ გუნდს ამარცხებს და გულშემატკივრების გულებს ახარებს.

როგორც კლუბის მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, კლუბს ასეთი მიღწევების მიუხედავად ამ დრომდე არ გააჩნია სახელმწიფო დაფინანსება და სავარჯიშო ინვენტარი:

„ბავშვებს ელემენტარულად მსხალი (ე.წ. გრუშა) არ გააჩნიათ, რათა სრულფასოვნად შეძლონ ვარჯიშის ჩატარება. არადა, ამ ბავშვებს პოტენციალი ძალზე დიდი აქვთ. ყველას ვთხოვთ ჩვენი კლუბის სახელით დახმარებას, ვისაც შეუძლია ელემენტარული დახმარება გაგვიწიოს,“ — აღნიშნავს ცისკარაული.

გაზეთი „შირაქი“ რამდენიმე თვის წინ უკვე იუწყებოდა, რომ კლუბ „არმიას“ სავარჯიშო დარბაზის პრობლემაც აქვს, როს გამოც სხვადასხვა შეჯიბრებებისთვის მზადებას ვერ ახერხებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

სპორტი

უღოცავენ!

მაია ხუმარაშვილს

გილოცავთ შობა-ახალ წელს და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნას. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად და წარმატებებს შრომით საქმიანობაში. გვიგულეთ თქვენს გვერდით.

პატივისცემით, ***სოფელ სამრეკლოს ბაგა-ბაღის დირექტორი*** მაკა ზურაშვილი ***და თანამშრომლები.***

დათო ყოჩიაშვილს!

18 იანვარს 15 წლის გახდი, გილოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და წარმატებებს, შენი ახალგაზრდული ოცნებების შესრულებას. გიცოცხლოს მშობლები, ძმა და ყველა ახლობელი, ვისაც ძალიან უყვარხარ.

ნინა, გია და მამუკა მამუკელაშვილები

ბიძინა პოპიაშვილს!

ჩემო ძვირფასო ნათლია, გილოცავ ნათლისღების დღესასწაულს და საქართველოს კოლორიტული პიროვნების ნომინაციაში გამარჯვებას. თქვენთან ერთად ამ ტიტულის მოპოვებას ვულოცავ ტარიელ ღარიბაშვილს და მარლენ კვაჭანტირაძეს. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ბედნიერებას თქვენს ოჯახებთან ერთად და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

პატივისცემით,
არსენ ყოჩიაშვილი

მადლიერება

ყველას უხარია ახალი წლის მოსვლა, მაგრამ გამორჩეულად უხარიათ ბავშვებს. ჩვენი ბაღის ბავშვებიც მოუთმენლად ელოდნენ ამ საზეიმო დღეს, როცა სიმღერებით, ცეკვებით და ლექსებით თავს მოიწონებდნენ თოვლის პაპის წინაშე და მიიღებდნენ სანატრელ საჩუქრებს. მართლაც, მალე დადგა ეს დღე. მათი საჩუქრებისთვის იზრუნეს ბატონებმა სოსო ყოჩიაშვილმა და სოლომონ მენთეშაშვილმა.

მათ ძვირფასი ტკბილეული გამოუგზავნეს პატარებს და გული გაუხარეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ბავშვების, მშობლების და ბაგა-ბაღის თანამშრომელთა სახელით. ბედნიერ და წარმატებულ ახალ წელს ვუსურვებთ მათ, რათა კვლავაც მრავლად გასცენ ქველმოქმედება და კეთილი საქმეებით დაიმკვიდრონ სახელი და საზოგადოების პატივისცემა.

მაკა ზურაშვილი,
სოფელ სამრეკლოს ბაგა-ბაღის დირექტორი და თანამშრომლები.

ს ა ნ დ ა

ქალაქ თბილისში 18-19 დეკემბერს ჩატარდა V საერთაშორისო ჩემპიონატი სანდაში თბილისის უშუ სანდას ფედერაციის ორგანიზებით. მონაწილეობდნენ ირანის, ერაყის, სასომხეთის და საქართველოს სპორტული კლუბები. მათ შორის მიწვეული იყო ზემო მაჩხაანის გუნდი ოთხი სპორტსმენით. პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ნატროშვილმა და გელა ჩაფიძემ. მესამე ადგილი დაიკავეს სანდრო ნატროშვილმა და ბუბა გოგოლაძემ.

გიორგი ნატროშვილი საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენია და ეს წარმატება არც არის გასაკვირი, მაგრამ გელა ჩაფიძე ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად იყო მომზადებული და შედეგიც საუკეთესო აჩვენა. გელა სანდაში 2012 წლის საქართველოს ჩემპიონია, სულ რამდენიმე თვეში საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი გახდა. ის შეხვდა უცხოეთის საუკეთესო სპორტსმენებს, კარგი ტექნიკური ბრძოლით დაამარცხა ისინი და ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ გელა ჩაფიძე ჯერ ათი წლისაა და მომავალი ჯერ წინ აქვს. ვუსურვოთ მას კვლავ წარმატებები. ტურნირისთვის გუნდი მოამზადა გენადი ნატროშვილმა.

ელიას მთაზე კელიების მშენებლობისთვის ანგარიში გაიხსნა

დედოფლისწყაროს სავიზიტო ბარათად წოდებულ ელიას წმიდა მთაზე კელიების მშენებლობისთვის ბანკში ანგარიში გაიხსნა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ მონასტრის ადმინისტრატორმა თამარ იაკობიშვილმა აცნობა.

იაკობიშვილის განმარტებით, ტაძრის მოძღვარმა მამა ონოფრე წულაძემ მრევლს კურთხევა მისცა, აღნიშნული საბანკო რეკვიზიტების მოსახლეობამდე მიტანის მიზნით სოციალური ქსელებითა და ადგილობრივი მედიასაშუალებებით გავრცელდეს.

ელიას მთაზე აგებულ კელიებში სასულიერო პირები იცხოვრებენ. სასულიერო პირები, რომლებმაც ახლადაშენებულ კელიებში უნდა იცხოვრონ, უკვე დედოფლისწყაროში იმყოფებიან და წირვა—ლოცვებს ესწრებიან.

წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტრის მშენებლობისთვის გახსნილია ანგარიში, რომლის რეკვიზიტებია:

N GE29BG0000000860360800

წმ. ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერი. მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: **BAGAGE22**

გთხოვთ, შეიტანოთ თქვენი წვლილი. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!



ამინდი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

შაბათი 19. 01		კვირა 20. 01		ორშაბათი 21. 01		სამშაბათი 22. 01		ოთხშაბათი 23. 01		ხუთშაბათი 24. 01		პარასკევი 25. 01	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
8 °	0 °	9 °	3 °	3 °	1 °	4 °	3 °	5 °	3 °	5 °	1 °	2 °	0 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეკრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K